შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №74

2010 წლის 23 ივლისი
ქ. ბათუმი

2008 წლის 12 სექტემბრის №76 დადგენილების ბათილად ცნობისა და „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული უმაღლესი განათლების კრედიტების აღიარების წესის“ დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „კ'' ქვეპუნქტის, რსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „კ'' ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ საფუძველზე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1.ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი 2008 წლის 12 სექტემბრის №76 დადგენილებით დამტკიცებული „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხებისა და უმაღლესი განათლების კრედიტების ცნობის წესი“.

2. დამტკიცდეს „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული უმაღლესი განათლების კრედიტების აღიარების წესი“ (**დანართი №1**);

3. დადგენილება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს უნივერსიტეტის ძირითად სტრუქტურულ ერთეულებს, მართვის ორგანოებსა და საჯარო გაცნობის მიზნით განთავსებული იქნას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ალიოშა ბაკურიძე**

[1]

დანართი №1

[1] ცვლილება შევიდა რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 2 თებერვლის №05 დადგენილებით.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული უმაღლესი განათლების კრედიტების აღიარების წესი

1. ზოგადი დებულებანი

1.1. წინამდებარე წესის მიზანია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოპოვებული კვალიფიკაციისა და ათვისებული უმაღლესი განათლების (კრედიტების) აღიარების, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შემოღებამდე გავლილი უმაღლესი განათლების სასწავლო კურსებისათვის კრედიტების მინიჭების წესები.

1.2. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღიარებს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ უმაღლეს განათლებასა და მოპოვებულ კვალიფიკაციას. უცხო ქვეყანაში მიღებული უმაღლესი განათლებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის აღიარება ხდება განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ აღიარების თაობაზე გაცემული დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე.

1.3. კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შემოღებამდე გავლილი უმაღლესი განათლების სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭებას, ასევე სხვა უსდ-ში ათვისებული კრედიტების აღიარებას ახდენს ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, ან დეკანის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით სპეციალურად შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაში უნდა შევიდეს ფაკულტეტის დეკანი ან დეკანის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, იმ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, რომლის ფარგლებშიც ხდება ათვისებული კრედიტების აღიარება და შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური ან მოწვეული პერსონალი.

1.4. ათვისებული უმაღლესი განათლების აღიარების(არ აღიარების), საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობისა და სწავლების ეტაპის განსაზღვრის შესახებ დასკვნა ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით, გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრით, კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

1.5. კომისია უფლებამოსილია აღიაროს მხოლოდ სასწავლო კომპონენტი, კვლევით კომპონენტში კრედიტის მინიჭება ხდება რსუ-ში დადგენილი ნორმების დაცვით.

1.6. კომისიის დასკვნის საფუძველზე ფაკულტეტის დეკანი უნივერსიტეტის რექტორის სახელზე ამზადებს წარდგინებას კრედიტების (ათვისებული უმაღლესი განათლების) აღიარების მიზანშეწონილობის შესახებ. რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტს კრედიტების (ათვისებული უმაღლესი განათლების) აღიარების თაობაზე.

2. ECTS-ის შემოღებამდე ათვისებული უმაღლესი განათლების აღიარება

2.1. სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში რსუ აღიარებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შემოღებამდე ათვისებულ უმაღლეს საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში ათვისებულ სასწავლო კომპონენტს.

2.2. კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემის შემოღებამდე სტუდენტის მიერ გავლილი უმაღლესი განათლების სასწავლო კურსებისთვის (გარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, და შესაბამისად ბათუმის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 2006 წლამდე არსებული საკრედიტო სისტემისა) კრედიტების მინიჭება ხდება პირობითად, შემდეგნაირად: თითოეული სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი დროის დასაანგარიშებლად შესაბამის საკონტაქტო საათებს ემატება დამოუკიდებელი მუშაობის

საათები (დასწრებული სწავლების ფორმით ათვისებული პროგრამის შემთხვევაში სასწავლო კურსისათვის განკუთვნილ დროდ ჩაითვლება საკონტაქტო საათები გამრავლებული 2,5-ზე, ხოლო დაუსწრებელი სწავლების შემთხვევაში 8,25-ზე), მიღებული საათების რაოდენობა იყოფა 25-ზე და მრგვალდება მთელ რიცხვამდე, მიღებული შედეგი შეადგენს სასწავლო კურსის მოცულობას კრედიტებში.

2.3. შეფასების 5 ქულიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადასაყვანად გამოიყენება შემდეგი სქემა:

ფრიადი (5) – 91 ქულა (A ფრიადი)

კარგი (4) – 84 ქულა (B ძალიან კარგი)

დამაკმაყოფილებელი (3) – 69 ქულა (D დამაკმაყოფილებელი)

2.4 შეფასების 100 ქულიან სისტემაში "ჩათვლა" შეფასების ექვივალენტურ შეფასებად ჩაითვალოს სხვა საგნებში მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული, დამრგვალებული მთელ რიცხვამდე.

2.5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, და შესაბამისად რსუ-ში ინტეგრირებულ ბათუმის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 2006 წლამდე არსებული საკრედიტო სისტემის ფარგლებში ათვისებული უმაღლესი განთლების სასწავლო კურსისთვის კრედიტის მისანიჭებლად სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა მრავლდება 1,48-ზე, იყოფა 25-ზე და მრგვალდება მთელ რიცხვამდე, მიღებული შედეგი ითვლება სასწავლო კურსის მოცულობადკრედიტებში.

2.6. 2.5 პუნქტში მოცემული საკრედიტო სისტემით მოცემული შეფასების 100 ქულიანი სისტემის გადაყვანა ECTS-ის შეფასების სისტემაზე მოხდეს შემდეგი წესით:

41-51 ქულა - 51 ქულა (E საკმარისი)

52-63 ქულა -63 ქულა (D დამაკმაყოფილებელი)

64 – 75 ქულა - 75 ქულა (C კარგი)

76 – 87 ქულა - 87 ქულა (B ძალიან კარგი)

88 – 95 ქულა - 95 ქულა (A ფრიადი)

96 ქულა და მეტი -100 ქულა (A ფრიადი)

"ჩათვლა" შეფასების ექვივალენტურ შეფასებად ჩაითვალოს სხვა საგნებში მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული, დამრგვალებული მთელ რიცხვამდე.

3. უცხო ქვეყნის უსდ-ში ათვისებული სასწავლო კურსების აღიარება

3.1. რსუ-ს მიერ უცხოურ უსდ-ში დროებით სასწავლებლად წასული სტუდენტის მიერ მოპოვებული კრედიტების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დადგენილი წესით გაფორმებულია სასწავლო ხლშეკრულება, რომელსაც ხელს აწერს სტუდენტი, მასპინძელი უნივერსიტეტისა და რსუ-ს პასუხისმგებელი პირები.

3.2. უცხოური უსდ-დან დაბრუნებული სტუდენტი სტატუსის ათვისებული კრედიტების (მიღწეული სწავლის შედეგების) აღიარების მოთხოვნის განცხადებით მიმართავს რსუ-ს რექტორს. სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს საზღვარგარეთ სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები და მათი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან უნდა ირკვეოდეს ათვისებული სასწავლო კურსების/მოდულების ჩამონათვალი, თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა კრედიტებში (ან საკონტაქტო საათებში), სათანადო შეფასებით.

3.3. უცხო ქვეყნის უსდ-ში, სასწავლო ხელშეკრულების გარეშე ათვისებული საგანმანათლებლო პროგრამის (სასწავლო კურ(ებ)ის/პრაქტიკის) აღიარებისთვის სტუდენტმა სათანადო განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დასკვნა უცხოეთში გაცემული საგანმანთლებლო დოკუმენტის აღიარების თაობაზე, საზღვარგარეთ სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები და მათი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან უნდა

ირკვეოდეს ათვისებული სასწავლო კურსების/მოდულების ჩამონათვალი, თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა კრედიტებში (ან საკონტაქტო საათებში), სათანადო შეფასებები. ასევე მიღწეული სწავლის შედეგების აღწერა (სასურველია შესაბამისი სასწავლო კურსის პროგრამა).

3.4. თუ უცხოური უსდ-ს მიერ გამოყენებულია ECTS სისტემა, კრედიტების აღიარება ხდება მომდევნო მუხლში მოყვანილი წესით. თუ უცხოური უსდ არ იყენებს ECTS სისტემას, მაშინ სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს უცხოური უსდ-ს ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც განმარტებული იქნება შეფასების გამოყენებული სისტემა, რის საფუძველზეც კომისია ადგენს მოცემული სისტემის 100 ქულიან შეფასების სისტემასთან თავსებადობისა და კრედიტების მინიჭების საკითხს.

3.5. იმ შემთხვევაში თუ უცხოურ უსდ–ში მოქმედი სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს არა ქულებს, არამედ შეფასების აღმნიშვნელ ლათინურ ასოებს (A, B, C, D, E, A+, A, A- და სხვ.) და არ არსებობს ამ სისტემის განმარტების ოფიციალური დოკუმენტი, მოცემული სისტემის გადაყვანა უნივერსიტეტში მოქმედ სისტემაზე მოხდეს შემდეგი წესით:

A +	ფრიადი	100
A	ფრიადი	95
A -	ფრიადი	91
B +	ძალიან კარგი	90
B	ძალიან კარგი	85
B -	ძალიან კარგი	81
ჩ +	კარგი	80
C	კარგი	75
C -	კარგი	71
D +	საშუალო	70
D	საშუალო	65
D -	საშუალო	61
E +	დამაკმაყოფილებელი	60
E	დამაკმაყოფილებელი	55
E -	დამაკმაყოფილებელი	51

4. სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ათვისებული კრედიტების აღიარება

4.1. აღნიშნული პუნქტი ადგენს აკრედიტებულ უსდ-ში ათვისებული კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის აღიარებისა და რსუ-ში მოქმედ პროგრამასთან თავსებადობის განსაზღვრის წესებს.

4.2. თუ სტუდენტის მიერ ათვისებული მოდულის/კურსის დასახელება და მოცულობა ემთხვევა რსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულის/კურსის დასახელებასა და მოცულობას, მოდულის/კურსის აღიარება ხდება ავტომატურად;

4.3. თუ სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსის/მოდულის მოცულობა აღემატება რსუ-ს შესაბამისი საგნის მოცულობას, კომისია აღიარებს იმდენ კრედიტს, რამდენსაც ითვალისწინებს რსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამა;

4.4. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის/მოდულის მოცულობა ნაკლებია რსუ-ს შესაბამისი საგნის მოცულობაზე და მათ შორის სხვაობა არ აღემატება რსუ-ს

პროგრამაში მოდულის მოცულობის 20%-ს, მაშინ კრედიტების აღიარების საკითხს წყვეტს კომისია შესადარებელი კურსების/მოდულების სილაბუსების განხილვის შემდეგ.

4.5. თუ სტუდენტის მიერ ათვისებული სასწავლო კურსის/მოდულის მოცულობა ნაკლებია რსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულის/კურსის მოცულობაზე (გარდა პუნქტი 4.4-ით გათვალისწინებული შემთხვევისა) კომისია აღიარებს ამ კურსში/მოდულში სტუდენტის მიერ შესწავლილი კრედიტების რაოდენობას;

4.6. თუ სტუდენტის მიერ ათვისებული სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება არ ემთხვევა რსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის/მოდულის დასახელებას, კომისია გადაწყვეტილებას ღებულობს სილაბუსის ანალიზის ან ასაღიარებელ მოდულში/კურსში ჩატარებული წერილობითი გამოცდის შედეგის საფუძველზე;

4.7. სტუდენტის მიერ ათვისებული, რსუ-ში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამასთან არათავსებადი უმაღლესი განათლების კრედიტებისგან შეიძლება აღიარებული იქნას იმდენი კრედიტი, რამდენი არჩევითი კრედიტიცაა გათვალისწინებული რსუ-ს საგანამანათლებლო პროგრამის შესაბამის ეტაპზე. არჩევითი კრედიტების აღიარებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ე.წ. "დამატებითი სპეციალობის" პროგრამასთან თავსებადობა და შესაბამისობა რსუ-ში მიღებულ კურსების კატალოგთან.

4.8. თუ სტუდენტის მიერ ათვისებული სასწავლო კურსები/მოდულები არ არის გამოსახული კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) მიხედვით, სტუდენტი ვალდებულია მობილობის მსურველად რეგისტრაციისას სხვა აუცილებელ დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინოს სათანადოდ დამოწმებული საგანმანათლებლო დოკუმენტი, სადაც თითოეული სასწავლო კურსისთვის მითითებული იქნება რამდენი სააუდიტორიო საათი დაეთმო მას. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე კომისია დაადგენს სტუდენტის მიერ ათვისებული სასწავლო კურსის მოცულობას კრედიტებში.

4.9. აღიარებული კრედიტების მიხედვით, კომისიის მიერ, შემდეგი სქემის გათვალისწინებით, მობილობის პერიოდის შესაბამისად, განისაზღვრება სწავლების ეტაპი (საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სემესტრი), საიდანაც სტუდენტი აგრძელებს საგანამანათლებლო პროგრამაზე სწავლას

შემოდგომის სემესტრში განხორციელებული მობილობის (აღდგენის წესით ჩარიცხვის) სქემა

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა ხანგრძლივობაა 2 წელი:

აღიარებული კრედიტი	სწავლების ეტაპი
0 - -44 კრედიტი	I სემესტრი
45 კრედიტი და მეტი	III სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა ხანგრძლივობაა 3 წელი:

აღიარებული კრედიტი	სწავლების ეტაპი
0-29 კრედიტი	I სემესტრი
30 - 104 კრედიტი	III სემესტრი
105 კრედიტი და მეტი	Vსემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა ხანგრძლივობაა 4 წელი:

აღიარებული კრედიტი	სწავლების ეტაპი
0-14 კრედიტი	I სემესტრი
15-89 კრედიტი	III სემესტრი
90-164 კრედიტი	V სემესტრი
165 კრედიტი და მეტი	VII სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა ხანგრძლივობაა 5 წელი:

აღიარებული კრედიტი	სწავლების ეტაპი
0-9 კრედიტი	I სემესტრი
10- 74 კრედიტი	III სემესტრი
75-149 კრედიტი	V სემესტრი
150 – 224 კრედიტი	VII სემესტრი
225 კრედიტი და მეტი	IX სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა ხანგრძლივობაა 6 წელი:

აღიარებული კრედიტი	სწავლების ეტაპი
0-9 კრედიტი	I სემესტრი
10- 74 კრედიტი	III სემესტრი
75-149 კრედიტი	V სემესტრი
150 – 224 კრედიტი	VII სემესტრი
225 - 284 კრედიტი	IX სემესტრი
285 კრედიტი და მეტი	XI სემესტრი

გაზაფხულის სემესტრში განხორციელებული მობილობის (აღდგენის წესით ჩარიცხვის) სქემა

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა ხანგრძლივობაა 2 წელი:

აღიარებული კრედიტი	სწავლების ეტაპი
0-74 კრედიტი	II სემესტრი
75 კრედიტი და მეტი	IV სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა ხანგრძლივობაა 3 წელი:

აღიარებული კრედიტი	სწავლების ეტაპი
0-64 კრედიტი	II სემესტრი
65 - 139 კრედიტი	IV სემესტრი
140 კრედიტი და მეტი	VI სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა ხანგრძლივობაა 4 წელი:

აღიარებული კრედიტი	სწავლების ეტაპი
0 - 49 კრედიტი	II სემესტრი
50-124 კრედიტი	IV სემესტრი
125-199 კრედიტი	VI სემესტრი
200 კრედიტი და მეტი	VIII სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა ხანგრძლივობაა 5 წელი:

აღიარებული კრედიტი	სწავლების ეტაპი
0 - 34 კრედიტი	II სემესტრი
35- 109 კრედიტი	IV სემესტრი
110-184 კრედიტი	VI სემესტრი
185 – 259 კრედიტი	VIII სემესტრი
260 კრედიტი და მეტი	X სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა ხანგრძლივობაა 6 წელი:

აღიარებული კრედიტი	სწავლების ეტაპი
0-19 კრედიტი	II სემესტრი
20 - 94 კრედიტი	IV სემესტრი
95-169 კრედიტი	VI სემესტრი
170 – 244 კრედიტი	VIII სემესტრი
245 – 319 კრედიტი	X სემესტრი
320 კრედიტი და მეტი	XII სემესტრი

4.10. კომისიას უფლება აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე (მაგალითად: თუ შესასწავლი სასწავლო კურსებით გათვალისწინებული წინაპირობები არ არის ათვისებული ან სხვა ობიექტური მიზეზით), დაადგინოს დამატებითი შეზღუდვები და სწავლების გაგრძელების შესაძლებლობა დაუშვას 4.9 პუნქტში მოცემული სქემით განსაზღვრულზე დაბალი ეტაპიდან.

4.11. შიდასაუნივერსიტეტო მობილობის დროს სწავლების ეტაპი განისაზღვრება 4.9 პუნქტში წარმოდგენილი სქემის მიხედვით.